ჟურნალის შესახებ

სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი არის ღიად ხელმისაწვდომი ელექტრონული რეფერირებადი ჟურნალი სტუდენტთათვის, რომელიც აქვეყნებს მაღალი ხარისხის სამეცნიერო სტატიებს სოციალურ მეცნიერებებში. სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოტივირებულ და გამორჩეულ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და საშუალება მისცეს ახალგაზრდა მეცნიერებს, საკუთარი ნაშრომები ფართო აკადემიურ საზოგადოებას წარუდგინონ. სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის მეშვეობით აკადემიური საზოგადოება გაეცნობა სტუდენტთა ინოვაციურ კვლევებსა და მიგნებებს.

გამოსაქვეყნებლად სტატია გადის შემოწმების რამდენიმე საფეხურს (ტექნიკური შემოწმება, სარედაქციო კოლეგიის წევრების მიერ განხილვა და გარე რეცენზირება). გარე რეცენზირება ანონიმურია. რეცენზენტების შერჩევა ხორციელდება დარგისა და საკვლევი თემატიკის მიხედვით. ამგვარი სისტემა მორგებულია ახალგაზრდა მეცნიერებზე, რომლებსაც საშუალება ეძლევათ, დააგროვონ გამოცდილება რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების კუთხით და მიიღონ სასარგებლო რჩევები სტატიების გაუმჯობესების კუთხით.

ჟურნალის ბაზაზე იგეგმება სასწავლო სემინარები, სადაც ის სტუდენტები, რომელთა სტატიები წარმატებით ვერ გაივლიან რეცენზირების სისტემას ან მიიღებენ მნიშვნელოვან შენიშვნებს, ჩაერთვებიან და აიმაღლებენ ცოდნას სამეცნიერო სტატიების აკადემიური მომზადების უნარების გაუმჯობესებაში.

ჟურნალი ორენოვანია, აქვეყნებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან ნაშრომებს, ინგლისური და ქართულენოვანი აბსტრაქტებით. სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალი განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის, თუმცა ასევე ღიაა სხვა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის. ჩვენი რედაქცია აღიარებს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს. მიღების კრიტერიუმები სტატიის ხარისხსა და აკადემიურ მნიშვნელობას ეფუძნება. სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი გამოვა წელიწადში ორჯერ.